

რედაქცია

მოღონის (ბას-ბატის) მედნზე, შორანოვის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. შალაქს ვარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисѣ. Въ редакцію газеты „Дრობა“.

გაზეთის ფასი

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან.; ცალკე ნომერი — ერთი შაური.

დროება

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

განცხადება

შიილება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენებზე.

განცხადების ფასი

ღიდი ასოებით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მოთარულთ, სტრიქონზე — 8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ — 5 კაპ., პეტიტით — 4 კაპ.

თუ საქირება მოიხიბვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ჟაქიანის დღესასწაულის გამო, შემდგომი, № 24, „დროებასა“ გამოავალ კვირის ოთხშაბათს 26 თებერვალს გამოვა.

თხილისის თავად-ახნაურების საადგილ-გამაჟღერებელი განცხადება

ამ ბანკის დამწესებელ თავად-ახნაურებს სთხოვს, რომ ძველი კვიტანციები, რომელიც იმათ ბანკის სათავეთა ფულის შეტანისათვის მიუღიათ, ახალ კვიტანციებზე გამოცვალონ.

იმ პირობით, რომელთაც კვიტანციები არა აქვს, უნდა წარადგინონ ხ ზინილ-მგამოტანილი მოწმობა, რომ იმათგან ბანკისათვის ხვედრი ფულე-ბიძღ-ღებულია.

საქართველო

ისტორიული მასალები

რა ხალხსაც თავის წარსულ, ისტორიულ ცხოვრებასთან, ესე იგი იმასთან, რაც რომ ღირს-შეიანიწნაფია ამ ცხოვრებაში. კავშირი გაუწყვეტია, ის ხალხი მომავალში წარმატებას არ უნდა მოელოდეს.

შოველი ხალხის აწმყო და მომავალი ცხოვრება იმის წარსულს,

ისტორიულს ცხოვრებაზე უნდა იყოს დამყარებული.

ა, ჰაზრი, რომელიც საუკეთესო ისტორიკოსთა და ფილოსოფოსთა სწავლით ჩვენს დროში კვშიარიტებად შექნია.

რალა თქმა უნდა, რომ ეს ჰაზრი დაფუძნებულია იმ დაკვირვებასა და გამოკვლევაზე, რომელიც სხვა და სხვა ხალხების ცხოვრებაზე მოუხდენიათ.

ა რა ერთხელ შეუნიშნაფთ, რომ მხოლოდ იმ ხალხის ცხოვრებამდის ნორმალურს, რიგაანს გზაზედ, რომელსაც თავისი წარსული ცხოვრების უკეთეს თვისებაებთან ყოველი კავშირი არ მოუხსნია. მეორეს მხრით, შენიშნულია, რომ ხალხი, რომელსაც სრულდებით ახალს გზაზე დადგომა განუზრახავს რომელსაც თითქო მოუწოდებია თავის წარსულს ცხოვრება-თან ყოველი დამოკიდებულების მოსპობა, — ეს ხალხი, ზნეობით და მატერიალურად დაეარდნია და შემდეგ საუკუნოდ მიძინებულა.

შრთს გასაშტერებელ მაგალითს მოვიყვანთ, რომელიც ჩვენი თვლის წინ მოხდა.

შრთს დროს დიდებული და სწავლულებით და მქადაგებლებით განთქმული ბოჭეშია, სხვა და სხვა ისტორიული შემთხვევების წყალობით, მეთექვსმეტი საუკუნეში დაეცა.

1526 წლიდამ ის პესტრიამ დაიმორჩილა. მას აქეთ ჩვენი საუკუნის დასაწყისამდე ბოჭეშია თან და თან ვეცემოდა: დაცემულია ხალხმა თითქო დაიფიქრა თავის ბრწყინვალე წარსული, ზნეობით დაეცა, ძველი ენერგია, ძველი მოღვაწეობა საზოგადო სამშობლოს სამსახურისათვის აღარ სჩნდა.

მაგრამ ამ საუკუნედამ დაწყებული თითქო სრულდებით შეიცვალა ეს ხალხი: ბოჭეშიაში სწავლულებიცა და მეცნიერნიც გამოჩნდნენ, ხალხმა თვალდები გამოაქყრია, შეიქნა მოძრაობა და მეცადინეობა საზოგადო სამშობლოს სიკეთისათვის; ერთის სიტყვით, ეხლა ყველა ისეთს ნიშნებს ჰპოულა ბოჭეშიაში (ჩვენებში). რომელიც ხალხის სიცოცხლეს, წარმატებას და სწორ გზაზე დადგომას უჩვენებდა.

რა იყო ამის მიზეზი?

ამის მიზეზი ის უბრალო გარემოება იყო, რომ ამ საუკუნის დასაწყისში ბოჭეშიას ორი გამოჩენილი შეილი დაებადა: რაგერი და პალაცკი, რომელთაც თავიანთი ისტორიული და ფილოლოგიური თხზულებებით ამ თითქო მიძინებულს ხალხს მოაგონეს თავის ერთ დროს ბრწყინვალე წარსული ცხოვრება, ისტორიული მაგალითებით გააღვიძეს მათ

გულში საზოგადო მამულის კეთილდღეობის სიყვარული, და ცოდნისა და საკუთარი ისტორიის სწავლა.

და მარტო ამ მოგონებამ, ამ წარსული ცხოვრების განხედებამ, ხალხი თითქო ხელ-ახლად გააცოცხლა, ფეხზე წამოაყენა და თავის აწმყოზე და უკეთესს მომავალზე დააფიქრა...

არცერთს ხალხს არა აქვს, გონია, ამჟამად ისე ნაკლებათ მიქცეული ყურადღება თავის წარსულს ცხოვრებაზე, როგორც ჩვენ.

ძეთილად მოსაგონებელი მოვლენა ჩვენს ისტორიულს ცხოვრებაში საკმაოდ ყოფილა; საკმაოდ არიან ისეთი პირნი, რომელთა თავგანწირული მოქმედება სამაგალითოდ უნდა დარჩენილიყო შთამომავლობისათვის; საკმაოდ არიან ისეთი საქმენი, რომელთაც მოხსენება თანამედროვე საქართველოს შეილს უნაყოფოდ არ ჩაუვლიდა.

მაგრამ ვის ახსოვს ან ეს პირები, ან ეს საქმენი, ან ეს სამშობლოსათვის მოღვაწეობა ისტორიის თუ ცხოვრების სფერაში?

ხალხი ამათი მაგალითით ვერ მხნევედება, ახალგაზდობას არ ება.

ფელტონი

ი მ მ რ ლ ე ბ ი

ოოჰანი

თავი მეორე

„ი გ ი ნ ი“ და „ი ს ი ნ ი“

XI

პალმერსტონის შემდეგ წამოდგა მეგობრი და დაიწყა:

„შაწვილებო, თვითთულმა ჩვენგანმა კარგათ იცის, თუ რას ემსგავსება დღეს ჩვენი სამშობლო. ი ემსგავსება ერთს დიდსა და ბნელს აკლდამას, სადაც ძველი აზრების კაცნი დაბოდილობენ, უნდათ გარეთ სინათლეში გამოაწილონ. მაგრამ კარების ვერ მპოვენენი ეხლებიან ერთბანეთს, თვითონაც ეცემიან და სხვებსაც აქეთ-იქით ახლიან.

ჩვენ უნდა დღეს ჩავიტანოთ იმ სიბნელეში ანთებული ლამპარი. შექველია, ძველი აზრების კაცნი რომ სინათლეში თავის თავებს დასისხლიანებულად და გაჩირქიანებულად დაინახვენ, მოინდომებენ ჩვენზედვე თავიანთ გულის ბუხრის ამოყრას: ეცდენ

ბიან, რომ ხელიდამ გამოგვიქრონ ის ლამპარი და ჩვენც გაგვგმობონ. მს ბუნების წესია: ხშირათ დედაბერი უცხარდება და ამტერეფს იმ სარკეს, რომელიც აჩენს მის უსახობას; მაგრამ ნუ შევშინდებით.

შართალია, ძველი კაცები მიჩეყულნი არიან და არ გამოვლენ იმ სიბნელიდამ, მაგრამ ჩვენ უნდა ვიქონიოთ სახეში მათი შეილები და ისინი გამოვიყვანოთ სინათლეში. მიწყობთ სიმართლით მოძღვრება ახალგაზდებისა და ეს იქნება ჩვენი კეთილი შრომა.

ჩვენ უნდა წინდაწინვე გადაეწყვიტოთ და მოვიმხადოთ ჩვენი თავი სამსხვერპლოდ! მსხვერპლი არის ბეჭედი და გვირგვინი კეთილ-წარმობისა; მხოლოდ ის ამბერებს ქვეყნად ჭეშმარიტებას! და მაშ ჩვენც ვიყოთ მსხვერპლი ჩვენის სამშობლოს კეთილ-დღეობისა. მიღვაწოთ მამულის გულისათვის და ეს მოღვაწეობა დაჰბადებს ათს ჩვენზედ უკეთეს მომავალს მუშას...“

— მინც ულაატოს ამ აღთქმასა და განზედ გადგეს? იკითხა მომციწარმა სტუდენტმა.

ამ დროს კატამ იქყიელა „მიაფო!“ და შევერემანძა ცელქა სტუდენტმა, რომელიც კატას სტანჯავდა, დაიყვირა: „სიკვდილიო!“

მს სიტყვა ისეთს დროს ითქვა, რომ თითქოს კატასთან ყოფილიყოს მიმართული და ბევრმაც ისე მიიღო და გარისხდნენ, მაგრამ მომციწარმა სტუდენტმა კ სხვა გვარად გაიგო, მოუბრუნდა შევერემანს, მისცა ხელი და უთხრა:

— შენთანა ვარ! ძარგათ კი დაიბეჭდევ ეგ სიტყვა გულის ფიცარზედ.

ამის შემდეგ ორივე გაერივნენ სხვების გუნდში.

იმ დღეს ბევრი სხვა და სხვა სიტყვები ითქვა, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ეს ორი მოგვეყვას მინუშად, რადგანაც ერთი ხასიათისა იყო ყველა.

XII

ოთხის თუ ხუთის წლის განმავლობაში უმეტესი ნაწილი ამ ახალგაზდა სტუდენტებისა დაბრუნდა საქართველოსაკენ. თუმცა ცუდი დრო შეუხვდათ: ბატონ-ყმობის გაყრა და სხვა და სხვა რეფორმები, მაგრამ ძლიერათ მიიტანეს იერიში და რა-

მოდენიმე წელიწადს ასრულებდნენ პირობას.

ბოლოს კი მეტი ვეღარ შესძლეს: დღეს ერთი დაუთმეს საზოგადო ცდას, ხვალე მეორე, შეჭყენენ და ბოლოს სულაც შესტოპეს სიცუდის გუბეში. ზოგიერთებიც ჩაითრია ცხოვრების კეთილ-დღეობამ, და მშვიდობით პატიოსნებან!

ამ უმეტესობას დაშორდა რამდენიმე ახალგაზდა, მოსწყვიტა მასთან ყოველივე კავშირი და იწყო თავგაწირულად შრომა.

საზოგადოების დევნამ და ცუდმა მდგომარეობამ ის ორიოდვე ახალგაზდა სულ გააფლოდა და მათგან ქუჩიასა და სუცნიასთანა კაცებს თავ-ზარი ეცემიდათ.

თვითონ რომ ეღარა მოახერხეს რა, მაშინ მოინდომეს იმ უმეტესობის მიკედლება, რომელსაც რალაც პატივისცემის ნიშნად უწოდეს „იგინი“ და იმ მკირეოდენ თავგანწირულებს დაარქვეს „ისინი“ და ჩვენც მომავალს ჩვენს რომანში გავეცნობით თვითთველს მათგან.

დაიბი

(დასასრული მეორე თავისა)

დგება გულში სურვილი იმათ ქველ-
მოქმედების მიზანძივას, საზოგადოებას
თავის კერძო, ეგოისტური ინტერეს-
ების მეტი არაფრის დარდი არა
აქვს.

ძიდეგ უარესი:
ისე ვიქცევით, თითქო გვესურს,
რომ არც შემდეგ ჩვენ შთაბრძოლ-
ლობას დარჩეს ღონის-ძიება ჩვენი
წარსული ცხოვრების მაგალითებით
გამხნეებისა და გაცოცხლებისა:

თითქო გ-ნგებ ვ-პობთ, ვანად-
გურებთ ყველა იმ ისტორიულ მა-
საღებს, რომელნიც ჩვენი წარსული
ცხოვრების გამოსაკვლევად ძვირ-
ფასს საუნჯეს შეადგენენ. სადაც ძვე-
ლი ეკლესია დარჩენილა, ანგრევენ;
სადაც ძველი სიგელი ან რამე წიგ-
ნი მოპოვება, თავებს ვაჭმევთ; ჩვე-
ნი ძველი მეფეების ძვირფასი ნივთე-
ბი, ვინ იცის, ვის ჩაუგდია ხელში
და რაზედ მოუხმარია!..

და ყველა ამას ჩაედევართ მაშინ,
როდესაც კარგათ უნდა გვესმოდეს,
რომ თითქმის ყოველ ძველებურ
უბრალო ხელნაწერს, ყოველ ნივთს
დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ის-
ტორიული ცხოვრების გასაცნობად,
როდესაც კარგად უნდა გვესმო-
დეს, რომ ეს ჩვენი ისტორიული
ცხოვრების მოგონება ახლანდელს
ქართველებს გაგვახსენებს, გაგვა-
კეთილშობილებს, სწორ გზაზე დად-
გომისათვის მოგვეხმარება!..

ს. მსხი

**უმორჩილესად ვთხოვთ იმ
ჩვენს ხელის-მოგვარლებს, რომ-
ელთაც უარსანდელი ანუ წლ-
ვანდელი გახათის უშლი ჯარ
არ უამოუბანიათ, რაც უმიძლ-
ვა ვალე უამოიტანონ.**

დღიური

□ ძალიან ცუდი ამბები მოგვდის
შიზიყიდან. ძორრესპონდენტი გეწერს,
რომ ბევრი აქაური გლეხი ამ ზამ-
თარში უპურობით ძალიან გაჭირე-
ბულ მდგომარეობაში არისო.

შემშოლობას გარდა, ქიზიყელები
სხვა და სხვა მოხელე კაცებს და
გ-ნსაკუთრებით ჩაფრებს უჩივიანო.
მა ჩაფრები უმოწყალოდ და შეუ-
ბრალებელად ეპურობიან უიმისოთაც
შევიწროებულ გლეხებს; თუ თავის
დროზე რომელიმე ხარჯი, (რომელ-
საც ხშირად უკანონოთ თხოულობ-
ბენო), არ გადაიხადეს, რაც მოხედ-
ბათ ხელში, მიაქვთ და დუქნებში
აგირავენ ან ჰყიდიანო; და რაღვან
გლეხს იმდენი შეძლება არა აქვს,
რომ დაიხსნას, ამის გამო ხშირად
ოჯახისთვის რომელიმე აუცილებე-
ლად საჭირო ნივთი სულ ტყუილ-
უბრალოთ რამდენსამე შაურში ეკარ-
გებათო....

□ „მოაკოვის უწყებებში“ სწე-
რენ, რომ გზათ სამინისტროს საჭი-
როდ დაუნახეს, რომ ოკრიბაში

რკინის გზა გაიყვანოს იმ ადგილებზე,
სადაც ქვა-ნახშირი იპოვება, რადგან
ეს ქვა-ნახშირი შოთი ოფილისის
რკინის გზისთვის ძალიან გამოსადეგი
იქნებაო. ამის გამო გზათ სამინის-
ტროსაგან მცოდნე კაცებია გაგზავ-
ნილი იმის გამოსაკვლევად—თუ რა
ადგილებში უნდა გავიდეს ტყიბუ-
ლიდამ მუთაისზე რკინის გზის შტოო.

ჩვენ შევიტყუეთ, რომ ამ ინჟინერს
კიდევ გაუთავებია თავის გამოკვლე-
ვა; მაგრამ, იმის თხოვნით, სანამ
სამინისტროს არ მოხსენებია, ჩვენ
არ ვაცხადებთ იმის აზრს, თუ რო-
გორც მთავრობისთვის აგრეთვე თვით
ქვა-ნახშირის წარმოებისათვის რო-
მელი გზა უფრო სასარგებლო იქნე-
ბა: ტყიბულიდამ ბელათზე გამოყვან-
ილი, თუ პირ-და-პირ მუთაისის
მომავალი რკინის გზის შტოსთან.

□ ზემოხსენებულსავე გაზეთში
მოყვანილია ერთი ინგლისელი მცო-
დნე კაცის ჰაზრი ჩვენებურს ღვი-
ნობზედ. ინგლისელი ამბობს, რომ
თუმცა საქართველოს ღვინოები ბუ-
ნებით ძალიან კარგი თვისებისანი არი-
ანო, მაგრამ კუპრისაგან ფუჭდებაო;
რაც უნდა კაი ღვინო იყოს ტიკების
კუპრის გემო აქვსო და ამის გამო
ნამგზავრი ღვინო კარგი გემოსი არ
არისო. თუ ღვინის მწარმოებელნი
ამ გარემოებას ჯეროვან ყურადღე-
ბას მიაქცევენ, ჩვენ დარწმუნებული
ვართო, რომ საქართველოს ღვინო-
ები ერთი საუკეთესო და უპირველ-
ესი ღვინოები შეიქნებაო.

□ მართს ამბავს გეწერენ შო-
რანის მაზრიდამ, რომელიც ცხადდ
გვიჩვენებს, თუ ცრუმორწმუნებას
საღამდინ შეუძლიან მიაღწიოს:

„წასრულს წელში აქ ერთი დე-
დაკაცი ორსულად იყო. როგორც
სული ჩაეღვა ყმაწვილს მუცელში,
იქიღამ დამოკიდებული ორი თუ სამი
კვირის შემდეგ ეს ყმაწვილი თვეში
ორჯერ ხან სამჯერ აიტეხდა ხოლ-
მე მუცელში ტირილსა. ტირილი მუ-
ცლიდამ ცხადთ ესმოდათ, ვინც კი
დაესწრებოდა იმ ქალთან; იტარებდა
ხანდისხან თითქმის ნახევარ საათამ-
დინ.

„თუმცა ეს ქალი შეილოვნობაში
გამოცდილი იყო, მაგრამ მაინც ძლი-
ერ შეამინა ამ გარემოებამ. მაგრამ
ამაზე უფრო კიდევ იმან შეაწუხა,
რომ იმის სახლში ხშირად მოგროვ-
დებოდნენ მჭკორე დედაკაციები და
ნაცვლად იმედისა, ჩურჩულით ეუბ-
ნებოდნენ ერთი მეორეს: „ეს ტირი-
ლი ძალიან გლახა ნიშანია; ასე
გამიგონია ყმაწვილი დაიბადება კბი-
ლებიანი და წვერ ულვაშიანიო,
მაგრამ კი არ გაიზდებაო; ზოგი იტ-
ყვის, ეს ტირილი იმას ნიშნავს,
რომ დედა მუცელს ვერ გადურჩება;
ზოგი ამბობს, ამნაირათ რომ ყმაწ-
ვილი იტარებს, როდი ვარგა, მორჩე-
ვისათანავე ან დედა მოკვდება ან მამა.

ამნაირი ჭორების გამო ეს ქალი
საცოდავს მდგომარეობაში იყო: თი-
თქმის მთელი ოთხი თვე ყოველ
დღე მტირალი იჯდა და ყოველს

წამს რაიმე უბედურებას მოელოდა.
„მაგრამ ბოლოს ამ მოცლილი ქა-
ლების ცრუ-წინასწარმეტყველობამ
სულ ტყუილად ჩაიარა. აგერ ორს
თვეზე მეტია, რაც ეს ქალი მორჩა
ძეობიდან, ვაჟი ეყოლა, არც კბი-
ლები და არც წვერ-ულვაში დაჰყო-
ლია, ყმაწვილიც კარგად იზრდება
და მშობლებიც კარგად ჰყავს.“

„დროების“ კორექსორდენსია

მუთაისი, 18 თებერვალს

ჰი, ესეც ყველიერი!..
მოგილოცავთ ამ კვირას ყველით,
ერბოთი და კვერცხებით!

ამ ჩვენს მუთაისშიაც ისეთი ხა-
სიათი გამოჩინა ყველიერი, რო-
გორც საზოგადოთ ყოველგან: დი-
დი და პატარა ყველა საქეფოთ ემ-
ზადება, მაგრამ საქეფო ადგილები
კი ბევრი არსად სჩანან.

თეატრის მოყვარეებს ჰსურდათ,
რომ ამ კვირაში ქველ-მოქმედობი-
თი განზრახვით რამოდენიმე ქართუ-
ლი წარმოდგენა მიეცით; მაგრამ ეს
ქველ-მოქმედებითი საქმე დაჩაგრა
გველ-მოქმედებითმა. შმაწვილებს მო-
ახსენეს: „ვერ მოგართმევთ სახლსო,
რადგანც პოლკის ქალაქი პალს უ-
მართავს და ხუთშაბათამდე ზალას
არ ეცალდებაო!.. ხუთშაბათს იქითაც
მიტომ არ შეიძლებაო, რომ კერძო
პირის სასარგებლოდ შაბათს კონ-
ცერტს აძლევენ გიმნაზიის ყმაწვი-
ლებიო!“

თუმცა კონცერტები საზოგადოდ
დიდმარხვაშია შემოღებული, მაგრამ
ვინ დააჯერებსთ?

მართის მხრით, სცენის მოყვარე-
ბი ითხოვენ ზალას იმ ჰაზრით, რომ
ფული გაუგზავნონ ღარიბ ახალ-გაზ-
დებს, უცხო ქვეყანაში შემშოლით
შეწუხებულებს; მეორეს მხრით ეი-
ლაც კერძო პირისათვის სასარგებლოდ
ექიშვებიან ზალას და უპირატესობა,
თუმცა პირველზედ გვიან ითხოვს;
მეორე მხარეს ეძლევა! ჰაი გიდი!..
შველზედ უფრო გასაკვირალი
ის არის, რომ ამ საქმეში მონაწი-
ლეობას გიმნაზიელები იღებენ. ძა-
ლიან ადრე ეჩვენებოდა სამართლიანო-
ბას!

სალამურსა და ქიანურს უკვრენ...
ხა! ხა! ხა! ხა! საზოგადოდ მე არ
მესმის მუზიკა, მაგრამ ამ ჟამად კი
ვიცი, თუ რა უნდა გამოიხატოს
იმათ დაკრულ მუზიკაში: „დეე, ჩვენი
ახალგაზრდები იტანჯონ შემშოლით
გარეშე ქვეყნებში და შენ, კერძო
პირო, იხარე! „მაგრამ ან კი რა ჰქნან
პატარა გიმნაზიელებმა?

ახლა ერთიც უნდა კიდევ სხვა
ამბავი მოგახსენოთ: პოლკისთვის
სადილის გაკეთება უნდა მიენდოთ
ერთი ჩვენებური კაცისთვის, რომელ-
საც აქ სასტუმრო უქირავს და პო-

ლიციას ყოველ წლებში უკვრის
რიგია და კანონი უნდა უდგეს
ბის მინიჭებისათვის რამდენიმე თუ-
მანს; მაგრამ ბოლოს ერთი ვილაც
მისულა მოთავეებთან და უთქვამს,
მე მომანდეთ სადილის გაკეთება:
რადგანაც აქ ერთი ერთი დიდი კა-
ცის ნამზარეულები ვარო! ამ სიტ-
ყვას დიდი-ზედგაეღვნა ჰქონია ბა-
ტონ-კაცებზედ და მაშინვე ყოველის
უმიზნოთ მიუწდეთ მისთვის.

ბევრმა ამ მოქმედებას ცუდი ხა-
სიათი მისცა, მაგრამ მე კი მიე-
ხვდი, ვგონებ, იმ მოთავეების ჰაზრს,
თუ რათ მიანდევს ნამზარეულებს:

„ბატონის ნაყურებია და სადილს
იფად დაგიჯდნისო!“

აი საქები და მოსაწონი ჰაზრი!..
ძირიალვისონ! ძირიალვისონ! ძი-
რიალვისონ!!!
დაკონი

შორანის მაზრა, 10 ს თებერვალს.

30 იანვარს შორანის მაზრის
აზნაურობის წინამძღომელმა, უფ-
მლიზბარ მაქავეარიანმა, დაბას შვი-
რილას მაზრის სასამართლოში შე-
კრიბა თავისი მაზრის აზნაურობა და
გამოუტყდა, რომ უმაღლესის გარ-
დაწყვეტილების ძალით, იგინი ვალ-
დებულნი არიან, მოკლეს დროში,
თავიანთი მამულები მოიყენონ ჯე-
როვანს ცნობაში, ვის რ მდენი ანუ
რა თვისების მამული ჰაქვს, რადგან
1876 წლიდამ ყოველმა მიწის მესა-
ტრონემ უნდა იხადოს შესაბამი ლა-
ლა მიწისა. აგრეთვე გამოუტყდა
ისიც, რომ მათ დაერიგებათ ამ სიე-
ბის შესადგენათ დაბეჭდილი ფორ-
მები, რომელშიაც უნდა ჩასწე-
რონ, რუსულს ენაზე, თვითოე-
ულის მათის მიწის ნაკვეთის
სახელი, საზღვრები, ზომა და თვისე-
ბა. მინც თავის მიწის ზომას განგებ
დამალავს, შემდეგ საზოგადო მიწის
გამიჯენისა, ვისაც მომეტებული გა-
მომანდება მიწა, მათ ერთი-ორად გა-
დახდებათ მიწის ხარჯიო.

ამ გამოცხადების წინააღმდეგი, შე-
სახებ გადახადის ძლევისა, არავინ არ
გამხდარა და უპასუხეს, ჩვენ ყოველ-
თვის მმართველობის ბრძანების მორ-
ჩილნი ვართო; მაგრამ უკანასკნელმა
სიტყვებმა აზნაურობის კრება ძლიერ
შეაწუხა და დასამძიმებელად დაურ-
ჩათ ყოველი ნაკვეთი მიწის ამ ნაი-
რად აწერა. ამაზე აზნაურობამ უფ-
წინამძღომელს შუამდგომლობასთხო-
ვა მმართველობასთან, რომ შეუძსუ-
ბუქოს მათ ამ სიების შედგენა, რად-
გან ყოველის ნაკვეთის სამზღვრების
აწერა საძნელოა და უმეტ-ნაკლებოთ
მიწის გაზომვა შეუძლებელია. ჩვენ
მხოლოდ ვიტყვი, მაგალითებრ: რო-
დენი კარგი, როდენი საშუალო ანუ
როდენი უსარგებლო მიწები გვაქსო
და თუ მოგვიხდეს ზომაში შეცთო-
მა, ჯარიმა ნუ გადაგვხდებაო. შუა-
ლი აზნაურობის წინამძღომელი, რო-
დენიც შესაძლებელია მისგან, დაჰ-
პირდათ ამაზე შუამდგომლობას, რომ-
ლის დასაკმაყოფილებლს პასუხს აზ-
ნაურობა მოეღოს.



ჩვენებურ თავდაზნაურობებში ორ-
მოცში იქნება ერთი მოინახოს ისე-
თი, რომელსაც რუსულს ენაზე შეე-
ძლოს შეუტოვებლად წერა ანუ ლა-
პარაკი.

იმერელ მემამულეს და განსაკუთ-
რებით შორაპნელს სხვა ქვეყნების
მემამულეებთან არ შეუძლიანთ ფე-
ხის წაწვდა, სხვაზე ამით უფრო გაუ-
ძნელდებათ და ძვირათაც დაუჯდე-
ბათ მათ მამულეების სიების შედგენა.
იმერეთში თითქმის ყველა მემამულეს
იმ ნაირად დაფ ნტული და დაწიწკნი-
ლი აქვს თავისი მიწები, რომ ზოგი-
ერთს მემამულეს ორმოც-დაათი,
აი ნაკვეთი მამული აქვს ერთი მეო-
რეზე დაშორებული და რომ მოუ-
ყარო ერთათ თავი, ამ მამულის სი-
ვრცე სულ შეადგენს იქნება ათს ანუ
თუთხმეტს ქცევას; ამ ნაკვეთებშიაც
ისეთი მიწები იქნებიან, უქვევლია,
რომელიც პატრონისათვის არაფრად
არ არის გამოსადეგი.

ამისთანა მამულეებსაც უმეტესი ნაწი-
ლი იმისთანა პატრონები ჰყვანან, რომ
არ შეუძლიანთ თავისი მამულის სამზ-
ღერები სისწორით უთხრან სიის შემ-
დგენს; ამისთანა მემამულისათვის მიუ-
ცილებელი საჭირო იქნება ყოველს
ნაკვეთზე მიიყვანოს სიის შემდგენი
ასაწერათ. რამდენათ იფეთ დაუჯდე-
ბა ეს ზოგიერთ უპერანგო მიწის
მებატრონეს, ეს ყველამ კარგით
იცი!

შემდეგ ამ საქმის მოლაპარაკების
დასრულებისა, უფ. აზნაურობის წი-
ნამძღომელმა გამოუცხადა კრებას,
რომ მათთვის და მათის შეილები-
ათვის მიუცილებელი საჭირო და ღი-
დი სასარგებლოა დაბას შვირილას
ააშენონ საზოგადო სახლი სასწავლე-
ბელისათვის. შოველს მხარეზე დაარ-
ჩა ოროლი საიშედო კაცი, მისცა
მათ დაბეჭდილი, ზონარ გაყრილი და
ხელ-მოწერილი წიგნები, ჩასაწერათ
მსურველისაგან შემოსატანის ფული-
სა; იმავე პირებს მიანდო ამ ფულე-
ბის მოკრევა.

მს წინადადება აზნაურობისათვის
დიდად სასიამოვნო დარჩა და საზო-
გადოთ ყველამ განაცხადა თანხმობა,
და ვინც იყო ამ კრებაში უმეტესმა
ათი და დანარჩენმა ხუთ მანეთს ქნა-
კლები აღარ შესწირეს. მაზრის უმ-
ფროსმა უჩვენა აზნაურობას ცარიე-
ლი სახელმწიფო ადგილი, მაზრის სა-
სამართლოსთან, და დაპირდა, რომ
თუ ააშენებენ სახლს სასწავლებელი-
სათვის, ეს ადგილი მათ უფასოთ
მიეცემათ.

სპირიდონ ლევა

წარილი რედაქტორთან

უფ. რედაქტორო! მრთს ახირე-
ბულს, სწორეთ არაჩვეულებრივს ამ-
ბავს მოგახსენებთ და იმედი მაქვს,
რომ ამას თქვენ პატივ-ცემულ გა-
ზეთში ცოტოდენ ალაგს დაუთ-
მობთ.

ბურიაში, შემოქმედის მალლობა

ზედ დვას ერთი დიდი ხნით აღწენე-
ბული შემოქმედის ეკლესია. იქ
არაიან იმ ეკლესიის ბერნი და მო-
ნაზონნი და მათ შორის ღრმად მო-
ხუცებული არხიმანდრიტი მ. მს ბე-
რი გუშინ წინ მოვიდა ჩემთან ღი-
დად შეწუხებული, თითქო უტირნიაო
და დაიწყო ამ ნაირად:

„როცა უმანკო ყმაწვილი ვიყავი,
მე ელოცულობდი ბელათის მონა-
სტერში. სხვათა ძვირფასთა ხატთა
და ნიეთ შორის, საკუთვნელთა მონა-
სტრისა, — ცხადად მახოვს, — იყო ერთ-
თი ძვირფასი კათალიკოზის მი-
ტრა. ის მიტრა იყო მამარ მეფის
დროს გკეთებულ, ძვირფასი თე-
ლებით შემკული, ისეთი თვლებით,
რომ უკეთესი, ვგონებ, არა ვას უნა-
ხავს; ღამით როცა ჯერ სანთელი არ
იყო ანთებული მონასტერში, ის მი-
ტრა თავისი თვლებით ისე ანათებდა
და ისე ბქლიალებდა, როგორც სან-
თლის სინათლე. მრთი სიტყვით,
რაც უნდა მდიდარი მეფის სასახლეში
ყოფილიყო ის მიტრა, ყოველთვის
მიიქცევედა ყველას ყურადღებას. მხ-
ლა ეს ნახვეარი წელია, რომ სულ
ყოველ ღამე მესიზმრება და ვიდაც
სიზმარში გამომეცხადება ხოლმე და
მეუბნება, რომ ერთმა ღეთის მლო-
ცველმა ადამიანმა ითხოვა ის მიტრა
ბელათში მოსამსახურე ბერისაგან
გასახლებლად და გადასახლისებლა-
თა; და შემდგომ რამოდენიმე ხნი-
სა დაბრუნა ღიან განახლებული და
გადახლისებულიო; მაგრამ ვაი ამი-
სთანა გადახლისებასო! ნაცვლად
ძვირფასის იაგუნდისა, მარგალიტისა
და სხვა მზგავსი ქვებისა, ჭიქის თვლე-
ბია ჩასმული და ის მშვენიერო თე-
ლები გამოეთხოვა საუკუნოდ ბე-
ლათის მონასტერსაო.“

შემდეგ ცოტა ხნის სიჩუმისა, ამ
ბერმა მითხრა:

„მე შევიტყვე, რომ ეხლა საზო-
გადო წერილი („დროება“) გამოდის
და გთხოვ დაბეჭდვინო შიგ ვგ ჩემი
სიზმარი, თორემ მე ის არ მომასვენ-
ებს.“

თუმცა საზოგადოდ, უფ. რედაქტო-
რო, ამას არავითარ მნიშვნელობას არ
ვაძლევ, მაგრამ კვლად ვითხოვ ამ
წმინდა ბერის სიზმარს მისცეთ ადგი-
ლი „დროების“ გაზეთში და მითი
მოგვარჩინოთ: ის ამ ახირებული სიზ-
მრისაგან და მეც მისის თხოვნისაგან.
თუ დაიბეჭდება ეს სიზმარი, მე ვალ-
დებული ვარ გარდავსცე იმ ბერს
„დროების“ ფურცელი.

მსურვეთი, მქროპირ თენიევილი,
14 თებერვალს.

რუსეთი

რუსულ გაზეთებში დაბეჭდი-
ლია წლიური ანგარიში იმ საზოგადო-
ებისა, რომელსაც ღარიბი ლიტერა-
ტორებისა და საზოგადოთ მწერლე-
ბის დახმარება აქვს მიზნათ. ამ ანგა-
რიშიდან სჩანს, რომ 1874 წლის
განმავლობაში საზოგადოებას 147

ლიტერატორისთვის და ლიტერატო-
რების ოჯახებისთვის მიუყია მემ-
წეობა, სულ 20,623 მანეთი.

ასკოვის ეპისკოპოსს პავლეს
იქაურს ქალების მონასტერთან. რო-
მელშიაც დანი მოწყალებისანი ცხო-
ვრებენ, ქალებისათვის ისეთი სამა-
სწავლებლო სემინარიის გამართვა გა-
წუხრახავს, სადაც ახალგაზდა ქალე-
ბი სამრევლო ქალების შკოლების
მასწავლებლებად მოემზადებიან.

სტრასკის გუბერნიის ერობას
მიუღია მხედველობაში სასაფლო
შკოლების მასწავლებელთა გაჭირე-
ბული მდგომარეობა, განსაკუთრებით
სამსახურიდამ გამოსვლის შემდეგ,
და ამის გამო. გადაუწყვეტია, რომ
ჩვენი გუბერნიის შკოლების მასწა-
ვლებლებისათვის პენციის კასაა შე-
ვადგინოთ; ერობას ამ საქმისათვის
21 ათასი მანეთი გადაუღვია და ამ
ფულეების სარგებლით, ყველას თუ
არა, ზოგიერთ გადამდგარ ღარიბ
მასწავლებელს უნდა მიეცეს ცოტა-
ოდენი პენცია.

რიაზანის გუბერნიაში ორგეა-
რი სახალხო შკოლებია. ზოგი შკო-
ლა სულ ერობის ხელშია, ერობის
ხარჯით არის გამართული და იმის
ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება.
ზოგი შკოლა კი თვითან სოფლის
საზოგადოების ხარჯით არის გამარ-
თული და ერობის მონაწილეობა
მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ
ყოველ წელიწადს გადაწყვეტილ ჯამს
აძლევს დასახმარებლად, თუ თვითონ
სოფელი იმდენათ ღარიბია, რომ
შკოლის შენახვა უჭირს.

უცხო ქვეყნები

ინგლისი. უკანასკნელს ამორჩე-
ვებში ირლანდიის ერთმა მაზრამ
თავის დეპუტატად გამოჩენილი რე-
ვოლიუციონერი მიტჩელი ამოირ-
ჩია. მს მიტჩელი იმ ირლანდიელ პა-
ტრიოტებს (ჭენიებს) ეკუთვნის, რომ-
მელნიც სტდილობენ, რომ თვითანთი
სამშობლო სულ გაანთავისუფლონ
ინგლისის დამოკიდებულებისაგან ან
თუ ეს არ შეიძლება, საკუთარი პარ-
ლამენტი მაინც ჰქონდეს ირლანდიას
და საკუთარი მმართველობა.

ამის გამო, ინგლისის მმართველობის
მოთავე პარებს (ღიზრადლის
სამინისტროს) ამისთანა კაცის დე-
პუტატად ამორჩევა არ იამებოდა.

ლონდონიდან მოსული დეპეშა გვატ-
ყობინებს, რომ თებერვლის 6 (18)ღი-
ზრადელს წინადადება შეუტანია ინგლი-
სის შვემო პალატაში, რომ მიტჩელის
ამორჩევა უკანონოთ უნდა ჩაირი-
ცხოსო, რადგან ის რამდენიმე შეთ-
ქმულობისთვის დამნაშავედ ირიცხე-
ბა და ინგლისიდან გაქცეული არისო.
ამის თაობაზე პალატაში ხანგრძლივი
ბაასი ამტყდარა, მაგრამ ბოლოს
ხმის უმეტესობით ღიზრადლის წინა-
დადების მიღება გადაწყვეტილ იქნა.

საშარანგაში. პარლამენტი მოსულა
დეპეშა გვატყობინებს, რომ ინგლისის
ნაციონალურმა პრეზამ თითქმის
ყველა კონსტიტუციური კანონების
პროექტები მიღო, ამის გამო მარშალ
მაკ-ჰონმა ახალი სამინისტროს შე-
დგენა შესაძლოდ დაინახაო. ამასთანა-
ნავე დეპეშაში სწერია, რომ სამინი-
სტროს შედგენა რესპუბლიკის პრე-
დენტმა ნაციონალური პრეზის თავს-
მჯდომარეს ბჰიუტეს მიანდოო. მს
ბჰიუტე ორლენანსტია, მაგრამ, უფ-
ქველია, რომ იმის სამინისტროში
რამდენიმე მარცხენა მხრის ზომიერი
წევრი იქნება.

ამერიკის რესპუბლიკა. მომავალ
მწელს ახალი პრეზიდენტის ამორჩევა
იქნება ამერიკაში. არათუ ახლა ეს
ერთი წელიწადია, რაც ამ საგანზე
გაცხარებული მოლაპარაკება დასჯაა
ამერიკის ყურნალისტრკაში. მომეტე-
ბულ ნაწილს ძალიან არ მოსწონს
ის, რომ ეხლანდელი პრეზიდენტი
ამერიკის რესპუბლიკისა ღენერალი
ზარანტი ეხლავე უარს არ აცხადებს
მომავალ კანდატობაზე და რო-
გორც სჩანს, კიდევ სურს კენჭის
ყრა. პარლამენტი პრეზიდენტმა შამი-
ნგტონმა ამგვარს შემთხვევაში უარი
სთქვაო, რადგან ეშინოდა, რომ
ორჯელ-სამჯერ ამორჩევა ერთი და
იმავე პირისა ამერიკის თავისუფლებას
აენებს; ეშინოდა, რომ რამდენჯერმე
ამორჩევა პრეზიდენტს გააამაყებს
და შეიძლება ხელმწიფედ გახდო-
მაც აფიქრებინოსო.


ღენერალი ზარანტი კი ამას არ
დასდებს; კონსტიტუციის ძალით,
იმას შეუძლია მესამედაც იყაროს
კენჭი, მაგრამ გაზეთები დარწმუნე-
ბით ამბობენ, რომ ხალხი იმას აღარ
ამორჩევს პრეზიდენტათო და ტყუ-
ლად სახელს გაიფუქვებსო.

იტალია. იტალიურს გაზეთებში
იწერებიან, რომ ზარბაღლი აპირებს
იმ საჩუქრის მიღებას, რომელსაც
იტალიის პალატა ხალხის მხრით
აძლევს, მაგრამ განზრახვა აქვსო,
რომ მთელი ეს თავის პენსია თავის
პროექტებს მოახმაროსო, რომის გარ-
შემო უღაბნო ალაგებში არხების
გაყვანასო.

ნარკვი

მარშაის ერთს მახლობელ სოფელში
ამ თვის 11-ს გადაიცილა გამოჩენილი პოლ-
შელი რევოლიუციონერი პეტრე მისოცკი.
მს იყო იმ ახულობის მოთავე, რომელიც
1830 წელს მოხდა, პოლშაში და რომელ-
შიც ასეთი მონაწილეობა მიიღო მეორე
აგრეთვე გამოჩენილმა პოლშელმა ლეო-
ველმა. ამ ახულობის დროს მისოცკი
დაჭირილი ნახეს მარშაის ერთს ქუჩაში,
დაიჭირეს და სიმბირში გაგზავნეს, სადაც
1857 წლამდე იმყოფებოდა. ამ წელს
პოლშაში დასახლების უფლება მისცეს და
ის დაესახლა მარშაის ახლო-სოფელში მა-
რეში, სადაც ეხლა გადაიცილა. იმის და-
მარხვაზე დიდძალი ხალხი დასწრებია.

შაზნიკიდან ერთს რუსულს გაზეთში იწე-
რებიან, რომ ჩვენს ლებერნატორს ჩუმათ ბრ-
ძანება მიუტია ამას წინათ პალიციისათვის,
რომ იმ კორუპციონდენტების სახელები შე-



ეტყო, რომელიც ამ ქალაქიდან პეტერბურგის ვაჭრებში მუდამ კარგესონდენციებს იწვევდა. მაგრამ პოლიციამ ვერ შეიშალა თურმე, ეს ამბავი ქალაქში შეიტყეს და ყველანი ფრთხილად არიან ასე, რომ წვენი ღებუნატორის სურვილი ჯერ ვერ შესრულდა.

* *

პარიზის ვაჭრებში სწორედ, რომ ჩვენს ქალაქში იმყოფება ამ ჟამად გამოჩენილი ქვევითი-მოგზაური ოლანდიელი, რომელიც ათი წლის განმავლობაში სულ ქვეითად დაიარება სხვა და სხვა ქვეყნებში. იმას სხვათა შორის ფეხით დაუფლია: იპონია, ჩინეთი, აზიის ნიჩხი, ჩრდილოეთი და სამხრეთი ამერიკა და მთელი მეროპა რამდენჯერმე. ეს მდიდარი ოლანდიელი ახლა 30 წლის ყმაწვილი კაცია თურმე, ძალიან მხნე, ჯანმთელი და ლამაზი. მათხულებზე რუსეთის ქალაქების სანახავად წამოსვლას აპირებს თურმე, რასაკვირველია, ფეხით.

* *

მრთს რუსულს ვაჭრებში ქ. სამარადამ იწვევებინა, რომ ამ ჟამად ჩვენი ვაჭრები ერთმა აზირებულმა გარემოებამ ძალიან დააფრთხო. მრთს ვაჭარს ქორწილი ჰქონდა და-

ნიშნული, ქალს ათხოვებდა; დანიშნულს დროს მოპატივებულთა ეკლესიაზე მოიყარეს თავი ქორწინების საყურებელად. სასიძოცე უცდიდა პატარაძალს. მაგრამ უფერად პატარაძალი დაიკარგა და დიდი ხნის მოლოდინის შემდეგ სტუმრები და სასიძოცე იძულებული იყვნენ შინ დაბრუნებულიყვნენ, რადგან მასპინძელმა შეატყობინა იმათ, რომ ქალი ვერ ვიპოვე, სადაც გამეძევა. მეორე დღეს აღმოჩნდა, რომ იმ საღამოს იმ ქალს ვიღაც სხვა კაცზედ დაეწერა ჯვარი მეორე ეკლესიაში.

* *

ამას წინათ ჩვენში დაპარაკობდნენ, რომ რაღაც ახალი ხე მოიტანეს (Eucaliptus), რომელიც ნოტიობას აშრობს და ამის გამო ციებიან ალაგებზე რომ დასთესონ, ციებას მოსპობსო. ახლა ამ ხეზე კიდევ უკეთესი საშუალება აღმოჩენილა: ერთს უცხო ქვეყნის ვაჭრებში იწვევებინა, რომ ეიკალიპტუსს ყველგან ვერ იხარებსო და იმის მაგიერობას მზე უჭკრეტი ანუ ლილიფარა მცენარეც ძალიან კარგია იხარებსო, რადგან ციების მოსპობელად ეს მცენარეც ძალიან სასარგებლო არისო.

თფილისის თავად - აზნაპროვის

სააღილ-გაგულო ბანკი

იღვას განცხადებას სესხის აღების მსუკრველთაგან ამ ფაგარვლის თხუთმეტიდგან

ბანკი ასმსხმვს ფულს მიწებზედ და ქალაქებში მდებარე უძრავ ქონებებზედ, თფილისის გუბერნიისში.

სესხის ამღებნი ურთიერთ-შორის თავდებობას არ ექვემდებარებიან და ბანკის მმართველობისათვის არა ვითარს პასუხს არ აგებენ.

ვისაც ბანკში მიწების დაგირვეება სურს, უნდა წარადგინოს ბანკის სამმართველოში: 1) თფილისის მაზრის სამსაჯულოს უფროსის ნოტარიუსისაგან მიცემული მოწმობა, რომ დასაგირავებელი მამული სესხის ამღებს ეკუთვნისო, და რომ ამ მამულზედ ესა და ეს აღკრძალულება, სახლადური, დევა, ძიება და სხვ. არისო; 2) პლანი, თუ კი აქვს სესხის ამღებს და 3) დაწერილებით შედგენილი და ფასებებით აღწერილი მამული; ვისაც საქალაქო შენობების დაგირავეება, სურს ხსენებულს საბუთებს გარდა უნდა წარმოადგინონ ცეცხლისაგან უშიშარ-მყოფელს საზოგადოებაში აღებულნი ფურცელი.

ბანკი ასმსხმვს ფულს: 1) გრძელის ვადით — გირაოს ფურცლებით და 2) მოკლე ვადით-ნაღდათ.

სესხის ამღების თანხმობით ბანკს შეუძლიან, რომ თვით იკისროს გირაოს ფურცლების გასაღება იმ ფასად, რა ფასათაც ეს ფურცლები ბირჟაზედ ისყიდება და აიღოს გასამრჯელო სესხის მეოთხედი ნაასალი, ანუ ყოველს ათ თუმანიან გირაოს ფურცელზედ ხუთი შუური.

ბრძელის ვადით სესხი იმისთანა უძრავ ქონებებზედ ვაიცემა, რომელიც ოც თუმანზედ ნაკლებ არ დაფასებულა.

მოკლე ვადით კი სესხი იმ უძრავ ქონებებზედაც ვაიცემა, რომელიც ოც თუმანზედ ნაკლებ დაუფასებიათ.

სმსხად მიიციმა დანაფასის: 1) 60%-დი ანუ ათ თუმანად ღირებულში ექვს თუმანამდი საქალაქო უძრავ ქონებებზედ, 2) 50%-დი ანუ

ათ თუმანზედ ხუთი თუმანი სასოფლო მამულებზედ, და 3) 40%-დი ანუ ათ თუმანზედ ოთხი თუმანი ვენახისა და ხეხილის ბაღებზედ, რომელიც გირაოდ მხოლოდ მოკლე ვადით სესხში მიიღებია.

რადგანაც ვერ-ჯერობით საერთო საშუალო დაფასებითი აღწერილობა არ არის შედგენილი და ბანკის დამფუძნებელთა კრებისაგან დამტკიცებული, ამისგამო თითოეული გირაოდ წარმოდგენილი მამული ცალკე-ცალკე უნდა დაფასდეს. საქალაქო უძრავი ქონება ყოველთვის მასალეებისა და ნაღდი შემოსავლის დაგეარად დაიფასებიან.

სესხი გაიცემა შემდგომად: 1) სასოფლო მამულებზედ 54 1/2 წლით, 2) საქალაქო უძრავ ქონებებზედ 18 წლით და 7 თვით და 3) მოკლეს ვადით 1 წლიდან 3 წლამდის.

ბანკს უნდა გარდასხადოს: სესხის ამღები ყოველის ნახევარის წლის განმავლობაში თითოეულს ათ თუმანიან გირაოს ფურცელზედ, რომელიც მიცემულია: 1) 54 1/2 წლით იხდის 3% ანუ 3 სარგებელს მან. და 3/4% ანუ 12 1/2 კაპ. თავნს და 3/4% ანუ 15 შაურს ბანკის სხვა და სხვა თავნების შესადგენად და ბანკის მმართველობისათვის სახარჯოდ; 2) 18 წლით და 7 თვით იხდის 3% სარგებელს, 1 1/2% ანუ მანეთ ნახევარს თავნს და 3/4% ბანკის თავნებისათვის და მმართველობის სახარჯოდ, და 3) 1 წლიდან 3 წლამდის იხდის: გარეშე პირი 4% ანუ ოთხმანეთს სარგებელს და ბანკის დამფუძნებელი, რომელსაც კი შეუტანიან ან ამ წლის 28 მარტამდის შეიტანს ბანკის სასარგებლოდ დაწესებულს ხვედრს ფულს, 2 1/2% ანუ ორმანეთს ნახევარს სარგებელს.

ეს გარდასხადი, რომელიც ბანკს სესხში ერგება, ვალის ამღებლებმა უნდა შეიტანონ ნახევარ წლობით წინდაწინ 30 ივნისსა და 31 დეკემბერზედ არა გვიან.

რაც დაფასების წარმოებაზედ და გირაოს ფურცლების დამზადებაზედ დახარჯულია, იმის შესავეებად ბანკმა უნდა აიღოს ერთწამირად 3/4% სასოფლო მამულებზედ გაცემულს სესხისაგან და 1% საქალაქო უძრავ ქონებებზედ გაცემულს სესხისაგან.

სესხის ამღებთ შეუძლიანთ, რომ ვალი ნაღდი ფუჯით გარდაიხადონ. ან გირაოს ფურცლებით, რომელთაც გაუქმების წილი ხვედრიათ, ან გირაოს ფურცლებისაგან ნაკვეთის კუპონებით, რომელთაც გარდახდის ვადა შესრულებათ;

სესხის ამღებთ ყოველთვის ნება აქვთ, რომ დაწესებულის რიგით და ზომით შესატანს ფულს გარდა (§§ 29 და 30) გრძელის ვადით გაცემულის სესხისაგან დასარჩენიკ დაუბრუნონ ბანკს ვადამდის ნაწილ-ნაწილად, ათ თუმანზე არა ნაკლებ, და ათ თუმანობით, ან სულ მრთელი ვალი გარდაიხადონ და ამისათვის ბანკს გირაოს ფურცლები ათ-ათი თუმნის კვალობაზედ დაუბრუნონ.

მაგრამ თუ ამ ვალის გადასახდელად სესხის ამღები ბანკში ნაღდი ფულს შეიტანს, მაშინ ის ვალდებულია თავის გარდა სარგებელი შეიტანოს, რამდენიც ბანკს ერგება ამ თავნის ხვედრის გირაოს ფურცლების გაუქმებამდის.

ვინც ბანკში ქონებას აგირავებს იმას შეუძლიან, რომ ფული ბანკის ხელიდან პირდაპირ თავის კერძო მოვალეთა, ან სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებათ გარდასცეს.

რაკი შემოსხენებული საბუთები ბანკში წარდგენილი იქნება, სესხი დაუყოვნებლივ მიიციმა, მაგრამ წინდაწინ გირაოს დაფასება უნდა მოხდეს.

განცხადება

სარკომ სარდაში
უ. ახვლედიანისა
და
მარლამოვისა
ზიხსნება ყველიერის ორშაბათს,
17-ს ფებერვალს.
სარდაფში ვაიყიდება შემდეგი წარმოები შემდეგის ფასით:

ქარაქი, გირვანქა.	55 კაპ.
ნაღები	40 —
სმეტანა.	30 —
ხაქო (ტეოროგი).	10 —
მოუხდელი რძე	5 —
მოხდელი რძე.	2 —
ჭეელი	15 —
სარდაფი იმყოფება ქრევის მე-	
დანზე, სემინარიის პირდიპირ, მანდ-	
ნოვის სახლებში, ბიუდელის მალა-	
ზის ქვეშ.	

რკ. ზზა.	დილა.	საღამ.	II კ.			III კ.			ცეცხლის გაყვები	ფოზბა	ბირჟა	მან. კაპ.	მაზანდა	მან. კაპ.
			I	II	III	I	II	III						
თფილისი	8 18	8 17						ა) შოთიდამ:	ა) თფილისი და მ:	პეტერბურგი, 11 თებერვ.			თფილისი, 14 თებერვ.	
მცხეთა	9 18	10 —	68	38				მდესისკენ — ხუთშაბ. საღ 6 საათ	სამზღვარ გარეთ, მუთაისს, რუსეთს	ერთი მანეთი ლირს:			პური შორაგლის ფთ.	1 20
ზორი	11 39	1 43	2 40	1 23				სტამბოლს — კვირაობით დილას.	— ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ.	ლონდონში 3 3/4 პენსი.	84		ქერი ფუთი.	60
სურამი	1 52	4 30	3 92	2 18				ბ) სოხუმშიდამ:	ოთხშ., მსურგეთს — პარასკ და	პარიჟში 3 51 სანტიმი.	89		ბამბა ქრევისა, ფუთი.	4 80
ბეჟათუბანი	3 45		4 42	2 46				შოთს — ოთხშაბ. მს, ღამით.	ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და	სკონტი(სარგებლისფასი)	5 —		— ამერიკისა, ფუთი.	6 65
ჟვირილა	6 49		5 81	3 23				მდესას — 3 რასკევეს, გათენებისას	შ.ბ. ქახეთს — სამშ. და შაბ.	ბანკის ბილეტი 5%	98 25		მაკინტილი ბამბა ფთ.	8 —
მუთაისი	7 55		6 75	3 75				შოთიდამ: I II III	ბ) მუთაისი და მ:	მოგებიანი(პირველისესხი)	195 75		მატყული თუშური ფთ.	6 10
სამტრედია	9 2		7 73	4 29				სოხუმამდი . 4 . 3 . 1	თფილისისა და შოთისაკ 5 — ყო.	მოგებიანი (მეორე სესხი)	194 75		— თარაქამისა ფთ.	3 80
ახ.-სენაკი	10		8 57	4 76				მერჩამდი . 20 50 15 50 5	ველ დღე, კვირას გარდა. მსურ-	გ-რაოს ფურცლები:			აბრეშუმში ნუხური გრ.	2 60
შოთი	11		9 75	5 42				ტაგანროგ. 34 . 27 . 8 60	გეთს — ორშ. და პარასკ. ზუგდის	თფილ. სააზნ. ბანკისა.			ქონი, ფუთი.	4 40
შოთი	7 38							მდესსამდი. 38 . 30 . 9 60	— ოთხშაბ.	ხერსონის ბანკის (5 1/2)	85 50		ქონის სათელი ფუთი.	5 60
ახ.-სენაკი	9 11		1 18	66				ტელერაფი	შოველგან ყოველ დღე, კვირას	მოსკოვის (5%)	80 50		სტეარინის სათელი, ფ.	10 45
სამტრედია	10 12		2 6	1 14				მცი სიტყვა თფილისიდამ:	გარდა.	აქციები:			ხორცი ძროხისა, ლიტ.	70
მუთაისი	11 17		3 4	1 69				მუთაისს, შოთს	დ) შოთი და მ:	მდესის სავაჭრო ბანკის.	225 —		— ცხვრისა, ლიტრა.	80
ჟვირილა	12 38		3 98	2 21				ზორს, ლუშეთს, სიღნაბს	შოველგან — ყოველ დღე, კვი-	შოთი-თფილ. რკინ. გზის	133 —		სპირტი, ვედრო.	7 —
ბეჟათუბანი	3 27	ლაზე	5 33	2 96				როსტოვს მდესას მოსკოვს	რას გარდა.	შავიზღვის ცეცხ. გემების	560 —		შაქარი, კარგი ფუთი	8 50
სურამი	4 57	12 30	5 84	3 24				პეტერბურგს, პარშავას	წიგნის გაგზავნა რუსეთში:	ქაქაზის და მერკურის	168 —		— ფხენილი ფუთი	6 90
ზორი	7 23	3 31	7 36	4 9				მსპალეთში, შვეიცარიისში	ლია წიგნის	პირგ. საზღვევ. საზოგ.	665 —		შავა გრვკლი ფუთი	19 70
მცხეთა	9 52		9 8	5 4				იტალიისში და საფრანგეთში	დაბეჭდილის (სამი მისხალი)	პეტერბ. საზღვევ. საზ.	263 —		ხუთი ქუნჯუთისა ფთ.	7 50
თფილისი	10 49	8 29	7 5	5 42				ინგლისში.		მოსკოვის საზღვევ. საზ.	257 65		მქოლ 1/2 იმპერიალი	5 90